№ 5 9 იანვარი, სამშაბათი 1866—1879 9 იანვარი, სამშაბათი № 5

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: წვრილ ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვერსალი, 3 იანვარს. სენატმა თავსმჯდომარედ დაინიშნა მარცხენა მხრის კანდიდატი მარტელი.

პეტერბურღი, 3 იანვარს. დღეს მოვიდა მეკლენბურღ-შვერინის დიდი გერცოგი ფრიდრიხი.

ველიკი კნეინა ანასტასია მიხაილის ასულის ქორწილი 12 იანვარს არის დანიშნული.

ვენა, 4 იანვარს. რუსეთსა და ოსმალეთს შუა საბოლოვო მორიგების თაობაზე მოლაპარაკების დროს გადაწყდა, რომ რუსეთი ომის ხარჯს (კონტრიბუციას) ას მილიონზე მეტს არ გამოართმევს ოსმალეთსა.

დანიშნულია ცალკე კომისია, რომელმანც უნდა გამოიკვლიოს მიზეზი, რომლის გამოც შევიწროებული არიან მცირე აზიის სომხები და ამასთანავე მონახოს საშუალება ამათ შევიწროებულ მდგომარეობის შემსუბუქებისა.

კალკუტტა, 31 დეკემბერს. ღენ. რობერტსი იწერება ხოსტიდამ, რომ იქითკენ ახლა სრული მშვიდობიანობაა; მე მინდა აქ დავტოვო ერთი ნაწილი ჩემი ჯარებისა და შემდეგ ყურუმში დავბრუნდეო.

პარიჟი, 2 იანვარს. ღენ. გრევე დაინიშნა სამხედრო მინისტრად, შალმელ-ლაკური საფრანგეთის ელჩად შვეიცარიაში.

სტამბოლი, 2 იანვარს. სომხის პატრიარქმა მიატოვა თავის თანამდებობა.

ნიუ-იორკი, იანვარს. ტაშკენტიდამ მოვიდა ამბავი, რომ ღენერალ კაუფმანმა მიიპატიჟა ავღანის ემირი შირ-ალი ტაშკენტში, სადაც 2 იანვარს მოელიანო. ამბობენ, ემირის შვილზე იაკუბ-ხანზე ინგლისის ოქრომ დიდი გავლენა იქონიაო; ისმის აგრეთვე, რომ ავღანის ტახტს იაკუბ-ხანი დაისაკუთრებსო.

ლონდონი, 4 იანვარს. ისმის ვითომც ოსმალეთს ის ურჩევნიაო, რომ კიდევ სამ თვეს დარჩეს აღმოსავლეთს რუმელიაში რუსის ჯარები, ვინემ ეს ქვეყანა ყველა სახელმწიფოების შერეულ ჯარებით იყოს დაჭერილი.

ვენა, 4 იანვარს. ამბობენ, რომ ბოლგარიის ნაციონალურ პარტიას მთავრად თ. ბიბესკოს ამოირჩევა ჰსურსო.

ბერლინი, 5 იანვარს. იმ დროს, როდესაც მდ. არდში ჩავარდა ვაგონები, ამბობენ, ერთი რუსის ღენერალი, რამდენიმე აფიცერი და 200 სალდათი დაიღუპაო.

სტამბოლი, 5 იანვარს. საჟფეტ-ფაშას ბრძანება მოუვიდათ, რომ ხვალ წაიღდეს სტამბოლიდამ (სად?).

პეტერბურღის ბირჟა, 6 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 95 | 75 |
| მეორე — — — — — — | 94 | 50 |
| მესამესი — — — — | 94 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 94 | 87 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 93 | 25 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92 | 12 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8 | 35 |
| ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 232 | 55 |
| მეორე სესხის — — — | 233 | 5 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 23 | 39 | პენსი |
| ამსტერდამი — — | 119 | 50 | ცენტი |
| ბერლინი — — — | 202 | „ | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 249 | 50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი — | „ | „ | — |

---

## ფელტონი

### დედა და შვილები

ქვრივ-ოხრობის განაცადმა,
სიმწრის ლუკმით გამოზრდილებს,
ცოტა იმედ-მოცემულმა,
ერთხელ დედამ უთხრა შვილებს:

—

„სხვის ეზოში მელა არის,
„ჩვენსაში კი დიდი მგელი
„და, შვილებო, მასახელეთ:
„თოფ-იარაღს სტაცეთ ხელი!“

—

უფროსმა სთქვა: „მე რას დავსდევ?
„რისთვის უნდა ვიჩერჩეტო,
„რომ მივიდე და შევება?!
„თავი როგორ გავიმეტე?“

—

მეორემ სთქვა: „მეზობლისას
„ვეჯობს თავი მოვიყაროთ:
„მოვკლათ მელა და ისინიც
„მერე მგელზე მოვიხმაროთ!“

—

უნცროსმა სთხვა: „აჰ! მეზობლის
„მოხმარება ველარ გვარგებს:
„სანამ თქვენ აქ მოხვიდოდეთ,
„მგელი სრულად ამოგვაგდებს!“

—

ვერ დათანხმდნენ კერპობითა,
მოუვიდათ დიდი ჩხუბი!...
სასიკვდილოთ მიაღირეს
ერთმანერთსა ძმებმა შუბი...

—

სანამ უგნურ მაჩხუბრებსა
ვაი ჰქონდათ და ვაგლახი,
დიდმა მგელმა შეუპოვრად
ამოაგდო მთლად ოჯახი.

—

ქვრივ-ოხრობის განაცადმა
დედამ რომ ეს დაინახა,
ცხელი ცრემლი გადმოღვარი...
მწუხარებით დაიძახა:

—

„ღმერთო ჩემო! რადგან ბედმა
„მე შვილებში მომატყუა,
„შვილის-შვილებს მაინც მიეც
„შეძლება და მეტი ჭკუა!“

აკაკი

---

### როგორი აღზდა გვეჭირება ჩვენ?

(ვუძღვნი ჩვენ მშობლებს)

ჩვენ უნდა ვსდევდეთ ეხლა სხვა
ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...

* * *

უწინარეს ყოველთა, მშობლებო, თქვენ ხართ უპირველესნი აღმზრდელნი და ხელმძღვანელნი ბავშვებისა! დაბადებიდგანვე თვით ბუნება გაბარებსთ თქვენ პატარებს! თქვენ ხართ პირველი საფუძველი და სასწავლებელი ამ უმანკო სულების აღზდისა.

ესენი ის წვეთია წყლისა პრტყელ სავნის ზედაპირზე, რომელიც იქითკენ მიდის, საითკენაც წაიყვანს მას თქვენი თითი!

მაგრამ ხომ ყველას მოგვეხსენება, თუმცა რასაკვირველია სამწუხაროთ, რომ ეს პირველი საფუძველი და სასწავლებელი ძლიერ და ძლიერ გაუძლებელი და არა-საკმარისი არის. ხომ ყველას კარგათ გვინახავს ათობით და ასობით იმ გვარი მშობლები, რომელთაც

# საქართველო

## ახალი ნიშნები

ეს ახალი წელიწადი ბევრს კარგს გამოწყებას, ბევრს კარგს საქმეს გვპირდება, ოღონდ ჩვენ მოასპარეზე კაცებმა მივცეთ ხელი ერთმანეთს და კეთილშობილურს გაჯიბრებაში გავიტანოთ სამკალი სვრელი..

წარსული წლები, 1873 წლიდან დაწყებული აქამომდე, თითქოს სულ მასალებს გვიმზადებდა ახალი მოქმედებისათვის, ახალი ორგანიზაციისათვის. მე ამ სიტყვებს მარტო ჩვენი პაწაწა საქართველოს მიხედვით ვლაპარაკობ, ამ დროს მე მარტო საქართველოს ერი და იმის დაწინაურებული კაცები მიდგია თვალ წინ.

ჯერ-ჯერობით ჩვენმა საზოგადო ცხოვრებამ მარტო ერთს პაწია საქმეში იფეთქა თავისებურათ, თვით-არსებულად.

ამ პაწია საქმეს მე ვუძახი ჩვენს ნორჩს და ბევრის დამპირებელს ქართულ ლიტერატურას.

ჩვენს საზოგადო ცხოვრებას ჯერ იმდენათ ფრთები არ შესხმია, რომ სხვა უფრო განიერს ასპარეზზედაც ეჩინოს თავი, დაედვას თავისებური ფერი, თავისი, სახე თავისი განსაკუთრებული იდეა, აზრი. ჩვენ ჯერ მარტო ჩვენს ლიტერატურაში და მწიგნობრობაში ვსცნობთ ჩვენს თავს და საუკეთესო ჩვენს მამულის შვილებს ჯერ თუ აქვთ გამოჩენილი თავი, მარტო ამ ასპარეზზე აქვთ და არა სხვაგან, მარტო აქ ჩნდებიან ახალი ძალები, ნორჩი რაზმები. და ჩვენც წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, მხოლოდ იმისთვის, რომ მომავალი გასაკეთებელი საქმეები წინ წავიწყაზროთ.

1873 წელი იყო დამაგვირგვინებელი წელიწადი იმ ქართულ ლიტერატურულ მოძრაობისა, რომელიც დაიწყო 1866 წელს „დროების“ დაარსებითა. 1873 წელს ნამეტნავათ დაეტყო შვიდის წლის დაულალავი შრომა ახალი მწერლებისა; გავრცელდა როგორც „დროების“ კითხვა, აგრეთვე „კრებულისაც“ და ამათ თან მისდევდა „სასოფლო გაზეთიცა“. ამ წელსვე დაარსდა ქართული იაფი წიგნების გამომცემლების წრე. სტამბა და მესტამბეები შეიქნენ იარაღათ, რომ წერა-კითხვა არჩეულ მკითხველების წრიდგან თვით ხალხის შუაგულში შეტანილ იყო, ხალხში გავრცელებულიყო ის აზრები, ის მიმართულება, რომელიც „დროებამ“, „კრებულმა“, „მნათობმა“ და „სასოფლო გაზეთმა“ ამდენს ხანს იქადაგეს.

1874 წელს დაობლდა „დროება“; იმას გარშემო აღარ უსხდენ ცალმხრით „კრებული“, მეორეს მხრით „მნათობი“ და ჰა, „სასოფლო გაზეთიც“ სულის ლაფვით ძლივსლა მისდევდა იმას კუდში; ისიც დღითი-დღე ელოდა სულის დალევას.

რათ ჩამოიქვეითა ასე უცებ ჩვენმა ერთს წამს აფეთქილმა პერიოდულმა ლიტერატურამ? ნუ თუ ეს ტკბილი ჟამი მართლაც ოცნება, ჩვენება იყო? ნუ თუ წყვდიადს ბნელში ანთებულს ლამპარს ნახევარი მისხალი ზეთის მეტი არ სხმია, რომ ერთს წამს განათებულ იყო და იმავ წამს ჩამქრალ იყო? განა ყველანი დაიხოცნენ, ვინც იმ დროს ჩვენს პერიოდულს ლიტერატურას და ნაციონალურს ბაირაღს წინ მოაფრიალებდა? არა, არ დაიხოცნენ; მაგრამ წავიდ-წამოვიდნენ. რატომ? ცოტანი იყვენ, სულ სამი-ოთხი კაცი, მეტი არა, და ამათ ვეღარ შესძლეს ამ მძიმე საქმის ტვირთება. ესენი არ მომკვდარან, მაგრამ დროებით მიატოვეს და წავიდ-წამოვიდნენ ჩრდილოში, შესასვენებლათ, ახალი ძალის მოსაკრეფად.

ვთქვათ ეს თუნდა ასე იყო, მაგრამ განა ეს კი გაამართლებს იმათ?...—ისა სჯობდა, იქვე ბაირაღის კრიალში სული ამოსვლოდათ, ვინამც ერთი წუთის ვადითაც მიეტოვებინათ ლიტერატურული ასპარეზი უპატრონოთ!

ასე თქვეს ჩვენმა ახალ მოზარდმა ყმაწვილ კაცებმა. ეს იყო იმათი პასუხი, რომელთაც ჯერ კიდევ თავიანთი სწავლა არ გაეთავებინათ სხვა და სხვა სასწავლებლებში და თუ რუსეთში, თუ საზღვარ გარეთ იყვენ გაბნეულნი. ისინი ემზადებოდენ იქ იმავე შრომისათვის, იმავე ასპარეზობისათვის, რაც 1860—70

---

გულით და სულით ჰსურთ მიჰსცენ თავიანთ შვილებს კარგი ჭეშმარიტი აღზრდა, რომლისათვისაც ბევრჯელ არავითარ ხარჯს არ ერიდებიან, მაგრამ პედაგოგიის და სხვა საგნების არ-ცოდნა და გაუგებრობა დასაბამშივე უკუ-აქცევს მათ თავიანთ კეთილ განძრახვაში.

კარგათ ჰგრძნობენ ამას თვით მშობლებიც და ამიტომ ყველანი, შვიდი წლიდამ დაწყებული, აბარებენ თავიანთ შვილებს სასწავლებლებში, სადაც აღზრდა და ჰსწავლა მიდის სპეციალურათ მომზადებული მასწავლებლების ხელმძღვანელობის ქვეშ.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროთ, აქაც უმეტესად შევხვდებით იმ გვარივე თავისი საქმის უცოდინარ მასწავლებლებს, როგორც სახლობაში მშობლებს. ზოგიერთი მათგანი ჰსდებენ თავიანთ იდეალათ მონასტირის ცხოვრებისამებრ დაფუძნებულ და დამკვიდრებულ სასწავლებელს, საიდამაც მომეტებულათ გამოდიან ორგულები, ფარისევლები, გარყვნილი და გაკერპებული გრძნობებით ჭაბუკნი! მეორენი მათგანი ჰსდებენ თავიანთ იდეალათ ბავშვების *მხოლოდ გონებით გახსნას*: ამათ გადუშლიათ ბავშვების წინ მთელი ცხოვრება და გვიმრავლებენ მხოლოდ მოულალავ მოლაპარაკებს, თვით საქმეზე კი უძლიერ ორატორებს. გვიმრავლებენ იმ გვარ გვამებს, რომელნიც ცხოვრობენ უკანასკნელ უმეცარზე უფრო ბინძურათ და საძაგლათ. მესამენი კიდენ არც პირველის და არც მეორის იდეალებს არ დაჰსდევენ: ესენი მოქმედობენ, (თუ შეიძლება მოქმედება დაუძახოთ მათ ჩინოვნიკურ საქმის აღსრულებას), ყოვლის უმიზნოთ, უიდეალოთ იგრე, როგორც პირუტყვი, მხოლოდ ჯამაგირის მიღებისათვის... და სხვ...

რომ დავიხსნათ, მშობლებო, ჩვენი მოზარდი თაობა მაინც არის ამ გვარი განსაცდელისაგან, ჩვენ გვეჭირება ერთი საერთო ხელმძღვანელი, ერთი საერთო გზის მაჩვენებელი. ეს ხელ-მძღვანელი და გზის მაჩვენებელი ყველა ჩვენთვის არის მეცნიერება. მხოლოდ მეცნიერებას და განსაკუთრებით ისტორიას და პედაგოგიას შეუძლიან გვიჩვენოს—თუ რა უნდა მოვსთხოვოთ ჩვენი ახალ-თაობის აღზდას, თუ რას უნდა მოვერიდნეთ და რას უნდა დავეწნეთ! მხოლოდ მათი შემწეობით და ჩვენი მეცადინეობით შეგვიძლიან ჩვენ დავიხსნათ ჩვენი თავი ყველა ჩვენი ქვეყნის წარსული შეცდომილებებისაგან და მათგან გამომდინარებულ უბედურებებისაგან. ამიტომაც ვიწყობთ რა ამ საქმეს, გულით მოხარული ვიქნებით, თუ ეს ცდა, ცოტათი მაინც, ხელს მოგვიმართავს და გულს მოგვცემს ჩვენივე საკუთარი შვილების აღზდაში...

ძვირფასო მკითხველო, ქალი ხარ თუ კაცი, ნურც შენ დაკმაყოფილდები მხოლოდ ერთი თვალის გადაკვრით და წაკითხვით ამ წერილებისა. ეს „დღიურის“ მსგავსი ამბავი არ არის, რომ დღეს წავიკითხო და ხვალ კი დავივიწყო; არა: იგი თხოულობს ჩვენგან მომეტებულს და უხუმარს ყურადღებას. ერთხელ თვითონ წაიკითხეთ, მეორეთ და მესამეთ თქვენ ნაცნობებს, მეზობლებს, ნათესავებს—დებს, რძლებს, ნათლიებს, სიძეებს და ყველას. მოილაპარაკეთ, დააფიქრდით სათითაოთ ყოველ ჰაზრს და ნაყოფს იხილავთ!

„არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
„იყოს სოფელში და სოფელს კი არა-რა არგოს...

---

### ჩვენი ხალხის ზნეობითი გახსნა.

რა გვსურს და რას ვეძებთ? აი კითხვები, რომელნიც მუდამ გვიპყრობენ ჩვენ! სხვანაირათ: რა მიზანი უნდა იქონიოს მშობელმა თუ პედაგოგმა თავისი თუ სხვისი შვილების ზნეობით თუ სხვა გვარ აღზდაში და რა თვისებებით უნდა შეამკოს იგინი, რომ ჩვენც თამამად შეგვეძლოს ვსთქვათ: „ჩვენმა აღზდამ მიაღწია ჩვენი ქვეყნის მოთხოვნილებისამებრ დანიშნულ მიზნეს!“

ეს კითხვა იმ გვარი კითხვაა, რომელიც ყველგან და ყოველთვის ჩვენც და ყველა ხალხებსაც თავისებურათ აუხსნიათ. მაგრამ, მაინც რაც უნდა იყოს, ყველა ამ ხალხების ახსნაში არ შეიძლება არ შევნიშნოთ ერთი, რომელიც რამოდენათმა ყველას ეკუთვნის: განუსაზღვრელი და ყოველმხრივი სრულყოფა ადამიანისა. მაგრამ ეს იმისთანა სიტყვაა, იგი იმდენ რამეებს შეიცავს, რომ ვრცელ განმარტე-

წლებში დაარსდა ასე თვალ საჩინათ. იმის მაგიერათ რომ „დროება“—„კრებულის“ მოთავე პირებს მანამდის მოეცადნათ, სანამდის ახალ მოზარდები მოვიდოდნენ და ამათთვის ხელში გადაეცათ თავიანთი დიდი ღვაწლი, იმათ წინდა-წინვე დააგდეს თავის ლიტერატურის დროშა და ახალ-მოზარდებსვე გამოუდგნენ უკან საზღვარს გარეთ და რუსეთს ხელ-ახლავ სწავლის დასაწყებათ.

როგორ უნდა მიეღო ჩვენს ნორჩს ახალ-მოზარდს თაობას ამ ნაირი ცუღლუტური მოქმედება ჩვენი ახალი ლიტერატურის მოთავეებისა? დიაღ უსიამოვნოთ, ცუდათ, დიდი გაკიცხვით, ასე გაშინჯე სიმძულვარითაც და მართალიც იყვნენ. ამიტომაც როცა ჩვენი ახალმოზარდი თაობა მობრუნდა სხვა-და-სხვა ქვეყნებიდან და დაინახა „დროება“ მიტოვებული, „კრებული“, „მნათობი“ „სასოფლო გაზეთი“ და „გუთნის დედა“ გამქრალი,—საზოგადოთ ქართული პერიოდული პრესსა სიჭლექეში ჩავარდნილი, აღიჭურვა შურით და სიმძულვარით იმ პირებზე, რომელთაც ერთს დროს ასე ჩინებულათ მიჰყავდათ ზემოხსენებული გამოცემაები. ამის შემდეგ ახალ-მოზარდი თაობა ზიზღით უყურებდა და ახლოსაც არ ეკარებოდა იმათ, როგორც წვრილმან თავმოყვარის კაცებს, ცუღლუტებს, საქმეზე გულ-აყრილებს და კარგი საქმის შუა გზაზე მიმატოვებლებს....

ჩვენ იმას არ ვიტყვით, რომ ახალ დამთავრებული თაობა სულ მართალი ყოფილიყო ამისთანა სჯაში „დროება-კრებულის“ მოთავეების შესახებ; მაგრამ უნდა გავტყდეთ, რომ ის დღესაც ბევრშია მართალი.

ამ სახით ჩვენს ყმაწვილს-კაცობაში მოხდა განხეთქილება, გაცალკევება და არევ-დარევა. ამ გარემოების მიზეზი ბევრი სხვა იყო უფრო მკვიდრი და სამართლიანი, მაგრამ იმათი მოხსენება ჯერ-ჯერობით არა გვსურს. ჩვენ გვინდოდა მხოლოდ ჩვენი მკითხველებისათვის გვეჩვენებინა მიზეზი ახალ-დამთავრებულ განათლებულ პირების დაუნდობლობისა უწინდელ „დროება-კრებულის“ მოთავე კაცებზე.

აგერ ხუთი წელიწადი გავიდა, რაც ეს არევ-დარევა არსებობს ჩვენს განათლებულს ყმაწვილს კაცობაში. ამ დროს განმავალობაში ჩვენს საზოგადოებაში შემოდიოდნენ ახალი განათლებული კაცები, ქართვა აზრიან ახალ-თაობის წრე თან-და-თან ძლიერდებოდა. ყმაწვილკაცობა ადრე თუ გვიან ხელ-მეორედ უნდა დალაგებულიყვნენ, წრეებათ უნდა დაარსებულიყვნენ და იმათში ახალი ორგანიზაცია უნდა მომხდარიყო უფრო ახალი და უფრო ნაყოფიერი საქმის გამოსაწყებათ...

ამ მხრით დამდგარი წელიწადი ჩვენ ქართველებისათვის სწორედ რიგისა და ორგანიზაციის წელიწადათ უნდა ჩაითვალოს. ამ წელს გამოვა ჟურნალები „ივერია“, და „იმედი“; როგორც გვესმის, ჯერ-თონ „დროებასაც“ დაუბრუნდებიან მომეტებული ნაწილი თავის უწინდელი თანამშრომლებისა...

ასე, ამ რიგათ, ამ ერთს წელიწადს იმართება სამი ახალი დანთებული კერა, რომელსაც შემოუსხდებიან სხვა-და-სხვა წრის მშრომელი ახალგაზდობა და იმედი გვაქვს, კეთილ-შობილურს გაჯიბრებაში ისინი მოგვცემენ ახალს უფრო მწიფე ნაყოფს, გაგვიკვალევენ უფრო განიერს წარმატების გზას. ამ იმედით ჩვენც ალტაცებით წამოვიძახებთ: „გაუმარჯოს დამდგარს ახალს წელიწადს!“

გ. წერეთელი

## დღიური

*** [ გუშინწინ ნათლის-ღება ღამეს ჩვენს ქალაქში გარდაიცვალა თ. სოსიკო ორბელიანი. გარდაიცვალა უეცრად წვეთით (დამბლით) ინგლისის კლუბში სანამ ექიმები მოასწრობდნენ მიშველებასა.

შარშანდლამდინ თ. სოსიკო ორბელიანი მაინცა-და-მაინც არაფრით არ იყო გამოჩენილი გარდა იმისა, რომ ერთ დროს ის ითვლებოდა მხნე ღენერლად. მაგრამ შარშან, სიღნაღის არეულობის დროს, როდესაც ალაზნის ჯარების უფროსად იყო დანაშნული, იმან დაამტკიცა, რომ არის კაცი კეთილ-შობილი და სულგრძელი! როდესაც თ. რევაზ ვაჩნაძის

---

ბას თხოულობს და ჩვენც ამას შეუდგეთ. მაგრამ ვიდრე ჩვენ ამ ჰაზრის განმარტებას შეუდგებოდეთ, ჯერ მოვილაპარაკოთ თვით ჩვენი ხალხის აწინდელი ზნეობით გალსნილობაზე, და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვიყვანოთ დასკვნა, თუ რა გვაკლია, როგორი ზნე და ხასიათი, როგორი ცხოვრება და ყოფა-ქცევა როგორ და ვით უნდა ეძებოთ შესაძენათ და ისიც ვნახოთ—შაუძლიან თუ არა ჩვენი ხალხის ზნეობას ხელი მოუმართოს ახალ-თაობის ზნეობით აღზდას?

საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ხალხში თითქმის არაფერი არ მოიპოება იმისთანა, რომელიც ცოტათი მაინც ემსგავსებოდეს იმ ზნეობით აღზდას და მის იდეალს, რომელსაც თავის მიზნათ ჰსდებს პედაგოგია ბავშვების აღზდაში. ხალხის აღზდა გაბმულია ათასგვარი ცრუ-მორწმუნებების და უმეცრების ბუდეში, რომელნიც თქმა არ უნდა, საშინლათ აბრკოლებენ ხალხის ზნეობით-აღზდის წინწარმატებას.

თუმცა დიდი ხანია ქრისტიანობამ მოჰფინა ჩვენ ხალხსა თავისი განათლების სხივი, მაგრამ ჩვენდა გულსაკლავად, აქამომდე იგი შეითვისა ჩვენმა ხალხმა მხოლოდ და უფრო მეტათ გარეგანის მხრით. ამაყური და მხოლოდ თავისი თავის და თავისი ჯალაბობის თავ-მოყვარეობა, რომელიც მხოლოდ ამ ვიწრო სფერისათვის ჰხედავს თავისი სიცოცხლის დანიშნულებას და არავითარ პატივს არ ჰსცემს სხვა უმაღლეს საზოგადო ინტერესებს, ვამბობ ეს ამაყური თვის-მოყვარეობა და სხვისი კი არ დადევნა, რომელიც განსაკუთრებითი ძალით გალსნილია ველურ ხალხებში, ჩვენშიაც ჯერ კიდევ საშინელი ძალით არსებობს და გზას უსპობს ხალხში ღრმათ გავრცელებას ქრისტიანობის იდეიებს. ამისგამო ჩვენში ყველგან და ყოველთვის ვხედავთ რაღაცა უცნაურ ორგვარობას, სადაც ზნეობითი მოთხოვნილებანი არსებობენ სრულიად უზნეო მოთხოვნილებებთან. თავის-თავათ და თავის სახლობაში ჩვენი ქართველი თითქმის ყოველთვის აღიარებს ზნეობით კანონებს და შვილობრივი მორჩილებით ემონება მათ, მაგრამ ჯალაბობის გარეთ კი, თავის-თავს სრულიად თავისუფალ ხდის ამ ზნეობით მოვალეობისაგან.

სად უნდა მოვსძებნოთ ამის წყარო-მიზეზნი, თუ არ იმაში, რომ ჩვენი ხალხი ჯერ-ჯერობით საშინელი ეგოიზმით (თავის თავის მოყვარება და სხვათა არ დადევნა) არის შეპყრობილი?

ერთ და იგივე პირში მოიპოება კეთილ-მსახურებაც და სიპლუტეც, სვინიდისიანობაც და უსვინიდისიანობაც, აუწერელი ეგოიზმიც და ზოგჯერ გასაკვირველი თავთადებაც კეთილისათვის.

ამას გარდა. ცოტანი არიან ჩვენში იმ გვარი პირნი, რომელთაც სასირცხვილოთ მიაჩნიათ მარხვაში ერთი ნაჭრის სამსხნილო საჭმლის შეჭმა, ტყუილის თქმა კი, მლიქნელობა, ჭორიკანობა და სხვა ამ გვარები კი არაფრათ მიაჩნიათ?! ცოტაა ჩვენში იმ გვარი პირი, რომელიც საყდრის ასაშენებლათ, მონასტრისათვის შესაწირავად თითქმის არასფერს დაჰზოგავს; მაგრამ რომელიმე კაცთმოყვარე დაწესებისათვის კი, რომელიც კეთილს-ჰყოფს და უბედურებებს უმცირებს მოყვასსა, კაპეიკსაც ვერ შეაწირავინებთ? მა ცოტაა: ჩვენში როგორღაც ღრმათ გაუდგამს ფესვი იმ რწმუნებას, მითომ შაიძლებოდეს ზოგიერთი რჯულის კანონების აღსრულებით თავიდამ აიცილო ცოდვანი. მაგალითად: მითომ მარხვის შენახვა შენ ნებას გაძლევს იყო ცრუ, სასტიკი, შეუბრალებელი, მოქრთამე, ლოთი, და სხვა. ამას გარდა, ცოტაა იმ გვარი შეძლებული და კარგათ გაკეთებული, რომელიც დიდათ პატივ-ცემული და კარგათ მიღებულია ხოლმე საზოგადოებაში მხოლოდ თავისი ხერხიანი ყოფაქცევის, ზოგიერთი გარეგანი რჯულის წესების აღსრულების და სხვა წვრილმანი ღირსებისაგამო, მაშინ როდესაც ეს პირი გამდიდრებულა და მდიდრობა კიდეც ქრთამებით, მოტყუებით და სხვა მრავალი უსამართლო შეძენით?!

აქ სამწუხარო ის არის, რომ საზოგადოება ითვისებს ამ გვარ პირებს: მისთვის ყოველთვის გაღებულია სასტუმრო კარები; ამ გვარი პირნი მრავალჯერ თვლებიან უუსაყვარლეს წევრებად მრავალი კრებებისა; იგინი ზრძანდებიან სასიამოვნო მოსაუბრენი და დროების გამტარებელნი, უუმშვენიერესი საქრმონნი, და ერთი სიტყვით შეუნაცვლებელი გვამები.

(გაგრძელება)

სახლს დაეცა ხალხი და სხვათა შორის იმასაც მიაყენეს შეურაცხყოფა, ამბობენ, თურმე ერთი ვიღაცა იმის მხლებელთაგანში, რომელსაც ხმლის ამოღება უნდოდა თავის უფროსის დასაცველად; მაგრამ თავადმა სოსიკომ უბრძანა იმას, რომ ჩაეგო ხმალი; „თუნდაც მომკლან, ხმლის ამოღება არავინ გაბედოსო!“

არეულობის გათავების შემდეგ, ამავე სოსიკო ორბელიანმა მოახსენა უმაღლეს მთავრობას, რომ მე არავითარი შური-ძიება არა მსურს ხალხისაო, ხალხი იძულებული იყო, რომ ასე მოქცეულიყოვო, მე ვამართლებ ხალხსაო, და სხვ. და სხვ. ვინ არ დაგვეთანხმება, რომ ამისთანა საქმის ჩამდენი და ამ სიტყვების მთქმელი კაცი კეთილ-შობილი და სულ-გრძელი კაცი უნდა ყოფილიყო!.. ამიტომ ამისთანა კაცების სიკვდილი, რა წოდებისაც და თაობისაც უნდა იყვნენ, ყოველთვის სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ჩვენთვის..

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბაქოიდამ ბალახონამდინ (აქეთ) რკინის გზის კეთება დაიწყესო, ოც-და-ათ ვერსამდინ არის სარელსო გზა გაყვანილიო.

*** ნეტავი რას აკეთებს ის კომისია, რომელიც ამ ორი წლის წინათ ამოირჩია ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ იმ მიზნით, რომ ეშუამდგომლათ უმაღლეს მთავრობის წინაშე, რო ბაქო-ტფილისის რკინის გზა კახეთზე იქმნეს გაყვანილიო?

რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ კომისიას ჯერ-ჯერობით სრულიად არა გაუკეთებია-რა, თუმცა იმაში ისეთი საპატიო პირები იყვნენ ამორჩეულნი, რომ თავგან მოველოდით, რომ ეცდებოდნენ და შეასრულებდნენ საზოგადოების მინდობილობას..

*** დღეს მესამე დღეა, რაც რუსეთისა და სამზღვარ გარეთის ფოჩტა არ მოსულა ქალაქში. ამის გამო დღევანდელ ნომერში ჩვენი მკითხველი პოლიტიკურ ახალ ამბებს ვერ ნახავს.

*** ამ იანვრის პირველი რიცხვიდამ ტფილისში დაარსდა უფ. შავერდოვის საგენტო, რომლის დანიშნულება ის არის, რომ იმის საშუალებით საზოგადოებას შეეძლოს ყოველ გვარი ადგილობრივი და აგრეთვე რუსეთის გაზეთების დაბარება და ამას გარდა საგენტო ჰყიდის აგრეთვე ცალკე ნომრებად ქართულსა და რუსეთის გაზეთებს. ამავე საგენტოში მიიღება ყოველ გვარი განცხადებები ადგილობრივ გაზეთებში დასაბეჭდად.

საგენტო იმყოფება ბულვარზე, მირიმანოვის სახლებში, სადაც „სულთანის“ თამბაქოს მაღაზიაა.


# განცხადებანი

ქალაქის გამგეობისაგან

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით ცხადებს საყოველთაოდ, რომ იმ უძრავი ქონების მეპატრონეთ, რომელნიც ამ თებერვლის პირველამდინ არ შემოიტანენ უპრავაში დასაფასებელ ფულს (ოცენოჩნი სბორს) პირველის ნახევარ წლისას, გადახდებათ დადებული ჯარიმა (შტრაფი); ამის გამო ვისაც ჰსურს ამ ჯარიმისაგან განთავისუფლება, დაუჩქარონ ზემოაღნიშნული ფულის შემოტანა.

(3—2)

დაიბეჭდა და ისყიდება საქართველოს

## კალენდარი

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული ექ. ხელაძისაგან.

ტფილისში, ყველა წიგნების მაღაზიაში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში; ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, გრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

დაიბეჭდა და ისყიდება ა. ცუთაივის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკები,“—ტფილისში: ზრიქუროვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: გიორგი ბარათოვთან, გორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო დიასამესწისნ მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: პ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ცუთაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

გამოვიდა და ისყიდება ტფილისში, მხოლოდ ზაქარია ზრიქუროვის კავკაზიის საწიგნო მაღაზიაში, ახალი წიგნი, ლიტოგრაფის ყდითა (სურათითა):

## „სახალხო მეჯლისი“

სხვა და სხვა ახალი სიმღერები თქმული გიორგი ი. სკანდარ-ნოვისაგან.

ფასი 30 კაპეიკი, მხოლოდ ნარდათ მყიდველთათვის შე-

## „ჰაეროსტატი“

კომედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური. . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვ, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნია . . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 4 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯრხა, ფთ. | 1 | 75 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 20 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 50 |
| ბაპენტარი ბამბა ფუთი. | 11 | — |
| მატყლი თუშური ფუთი. | 7 | 30 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 60 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . | 5 | 30 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 13 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 80 |
| შაქარი, ზროც. ფუთი . | 8 | 20 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 70 |

### ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და გოლეიჩი — შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი — საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი — შინ.გ. ა. ბ ხუტოვი — საბებიო და ბავშვის, პეუნოვი — თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინ.განი.

ხუთშაბათს: ვერმიშევი — შინაგ., ქიუჩარიანცი — სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი - შინაგ., ა. ბახუტოვი — საბებიო ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი — თვალისა.

*Дозволено цензурою. Тифлисъ 8 Генваря 1879 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.